ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N38

ქ.თბილისი 1 მარტი, 2019 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
ბექა დავითულიანი	გულია გოცირიძე
თევდორე ისაკაძე	ლევან დავითაშვილი
ანა ლაშხი	მარინა დათუკიშვილი
ლილე ლიპარტელიანი	გიორგი დოხტურიშვილი
გიორგი მუსხელიშვილი	ირაკლი ზარქუა
თინათინ ნიბლოშვილი	ფრიდონ ინჯია
ელენე ოზაშვილი	ერეკლე კუხიანიძე
დათო ჟღენტი	ნინო ლაცაბიძე
რევაზ სოხაძე	ქეთევან მამულაშვილი
დავით უთმელიძე	ირაკლი ნადირაძე
თარაშ შურღაია	შალვა ოგბაიძე
ავთანდილ ცინცაძე	ლევან ჟორჟოლიანი
ალექსანდრე ხუჯაძე	დათო რურუა
ილია ჯიშკარიანი	ვახტანგ შაქარიშვილი
ქეთევან ჯოხაძე	გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე	ლევან ჯაფარიძე
ლევან ხაბეიშვილი	ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ გასული კვირა საკმაოდ აქტიური იყო მუნიციპალიტეტისთვის და ამის დასტურია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. ესენია: თბილისის ბიუჯეტის ზრდა 62 მილიონი ლარით, რაც მისასალმებელია, რადგან დადებითად აისახება ჩვენი ქალაქის და მოსახლეობის ყოფაზე; ზაფხულიდან ამოქმედდება ზონალური პარკინგის საპილოტე პროგრამა, რომელიც გავრცელდება კოტე აფხაზის ქუჩასა და მიმდებარე ტერიტორიებზე და საგრძნობლად გააუმჯობესებს ქალაქში ტრანსპორტის მიმართულებით არსებულ პრობლემას; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ დაასრულა გენ.გეგმაზე მუშაობა, მომავალი კვირიდან საკრებულოს მოუწევს აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით და ყველას მოუწოდა, ჩაერთოს აღნიშნულ პროცესში.

თევდორე ისაკაძემ აღნიშნა, რომ სატრანსპორტო მიმართულებით ქალაქის მეურნეობის დაგეგმარებისა და განვითარებისთვის მუნიციპალიტეტს ემსახურება სამი წამყვანი კომპანია. პარკირების კუთხით თბილისი მიდის იმ გზით, რომელიც გაიარა ყველა ცივილიზებულმა და განვითარებულმა ქალაქმა. პარკირების სიტემა დაფუძნებულია ორ მთავარ პრინციპზე: ზონირება და ქრონომეტრაჟი. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საპარკინგე მეურნეობის მოწყობის მიმართულებით პროგრამა ხორციელდება სატესტო რეჟიმში, რადგან ყველა ქალაქს აქვს თავისი სპეციფიკა და სწორედ ასეთი მიდგომა გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს მუშაობა.

ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტსა და კომპანია „ct-park"-ს შორის ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი იყო ის, რომ კომპანია არ ქმნიდა საპარკინგე ადგილებს და ზრუნავდა მხოლოდ შემოსავალზე; იყო დიდი რაოდენობის ჯარიმები და მაღალი საურავები, რისი გადახდაც უჭირდა მოსახლეობას; ავტომობილები გადაჰყავდათ საჯარიმო სადგომზე, რაც მძღოლებს უქმნიდა პრობლემას. სწორედ ამ მიზეზების გამო, მოსახლეობამ მხარი დაუჭირა კომპანია „ct-park"-თან ხელშეკრულების შეწვეტას, თუმცა, მას შემდეგაც, რაც ამ მიმართულებას ოპერირებს მუნიცილაიტეტი, მივიღეთ იგივე - თბილისში არ შექმნილა არც ერთი საპარკინგე ადგილი, ჯარიმების და საურავების რაოდენობა იგივეა და ავტომობილებიც გადაჰყავთ საჯარიმო სადგომზე. სიახლე მხოლოდ ის არის, რომ იზრდება სერვისის ფასი, რაც მიუღებელია, რადგან ჯერ უნდა შეიქმნას ახალი საპარკინგე ადგილები და მოგვარდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით არსებული პრობლემები და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას „თუ ევროპული გადასახადი გინდათ, ჯერ ევროპული უნდა იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სერვისი და ეკონომიკა". ეს საკითხი, ამ ვითარებაში, დედაქალაქის მოსახლეობას დამატებით ტვირთად დააწვება. ლევან ხაბეიშვილმა ასევე, ისაუბრა თბილისის ბიუჯეტზე, აღნიშნა, რომ სესხის სახით აღებული 62 მილიონი ლარი გადანაწილდა სხვადასხვა მიმართულებით და დაინტერესდა, რატომ უნდა დაუჭიროს მხარი იმ ბიუჯეტს, სადაც 3.7 მილიონი ლარით იზრდება იმ სამსახურის დაფინანსება, „დანა-ჩანგლის ხმარებას რომ ასწავლიან" და ნახევარი მილიონი ლარით იზრდება რეკლამის ხარჯები იმ ქალაქში, სადაც ადამიანებს ეკონომიურად ძალიან უჭირთ.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ თბილისის ბიუჯეტი ორიენტირებულია დედაქალაქში არსებულ გამოწვევებზე და შესაბამისად, წარმოდგენილი ზრდა მისასალმებელია, რადგან განხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუტურული პროექტები და ცალკეული პროგრამები. გამოეხმაურა კომპანია „ct-park"-თან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი იყო ის, რომ კომპანია არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და ამასთანავე, შექმნილი ჰქონდა ბიზნეს-მოდელი, თუ როგორ „გაეკეთებინა ფული თბილისელების ხარჯზე". ირაკლი ზარქუამ დეტალურად ისაუბრა, თუ რა კეთდებოდა ქალაქში პარკირების კუთხით, რა შემოსავალი ჰქონდა კომპანია „ct-park"-ს, რა კეთდება დღეს

და განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტმა კომპანიას მომსახურების მიღებაზე უარი უთხრა ინტერესთა კონფლიქტის გამო. ლევან ხაბეიშვილის მიერ ნახსენებ ე.წ. „დანა-ჩანგლის სერვისის“ სამსახურზე განმარტა, რომ ეს არის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო, რომლის დაფინანსება გაიზარდა იმისთვის, რომ გარემონტდეს ის გარემო, რომელიც ემსახურება ჩვენს თანამოქალაქეებს. ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით, მცირდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ხარჯები, იზრდება სასწრაფო დახმარების ბიუჯეტი, დედაქალაქს მოემსახურება 80 ახალი ავტობუსი, თუმცა ამაზე არაფერს ამბობს ოპოზიცია, რადგან „მომგებიანი არ არის მათთვის“. სატრანსპორტო მიმართულებით არსებული პრობლემის მოწესრიგებისთვის განსახორციელებელ ღონისძიებებზე განაცხადა, რომ ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი და სანამ ამოქმედდება პარკირების საპილოტე პროგრამა, დედაქალაქში შემოვა ახალი ავტობუსები, გაგრძელდება მეტროს ვაგონების მოდერნიზაცია და მეტროს შემადგენლობას დაემატება ახალი ვაგონები. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ თბილისის ბიუჯეტი მაქსიმალურად მოხმარდება დედაქალაქში არსებულ გამოწვევებს.

შალვა ოგბაიძემ აღნიშა, რომ პარკირება არის სატრანსპორტო სისტემის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი და სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესებისთვის და საჭიროა ცვლილებების განხორციელება. ჩვენი თანამოქალაქეების უმეტესობა სარგებლობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან გადაადგილდება ფეხით და სწორედ ამ ადამიანების დაკვეთაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომლის შემადგენელი ნაწილია საპარკინგე სისტემის მოწესრიგება. რაც შეეხება კომპანია „ct-park“-სა და თბილისის პარკინგს შორის განსხვავებას, განაცხადა, რომ კომპანია ორიენტირებული იყო შემოსავლის მიღებაზე, რასაც ძირითადად ახორციელებდა ავტომობილების საჯარიმო სადგომზე გადაყვანის გზით, ხოლო დღეს, ავტომობილი არ გადაჰყავთ საჯარიმო სადგომზე, თუ ის არ ზღუდავს მოძრაობას.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ თუ მუნიციპალიტეტი ზრუნავს ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, არ უნდა შემოეყვანა დიზელზე მომუშავე ავტობუსები. ისაუბრა თბილისში მიწისქვეშა და მისწისზედა პარკინგის განვითარებაზე და დაინტერესდა, რატომ არ მოეწყო პარკინგი პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც 1 ლარად, სწორედ ამ მიზნით გადაეცა ბიძინა ივანიშვილს. მისი თქმით, საკრებულოს მხრიდან აუცილებლად უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებების კონტროლი და განაცხადა, რომ მუნიციპალური ინსპენქცია აუცილებლად უნდა დაინტერესდეს, რატომ დგას პუშკინის სკვერში შენობა, რომლის მშენებლობის ნებართვაც არ გაცემულა.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი ინვესტორს გადაეცა მიწისქვეშა პარკინგის მშენებლობის მიზნით და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამ პროექტის განხორციელება. აქვე აღნიშნა, რომ 2018 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მხრიდან გაკეთდა არაერთი შეთავაზება, რომ ბიზნეს-სექტორს მიწისქვეშა პარკინგის მოწყობის მიზნით, 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემოდა მიწის ნაკვეთი, თუმცა, სამწუხაროდ, ამგვარი ინტერესი ჯერ არ გამოუთქვამს არც ერთ კომპანიას.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ საუბარია ბიუჯეტის გაზრდაზე, უახლოეს მომავალში მივიღებთ გენ.გეგმას, რაც საბოლოოდ დაასრულებს ქალაქში ქაოტურ განაშენიანებას, მკვიდრდება პარკირების ევროპული პრაქტიკა. სწორედ პარკირების მოწესრიგებას და სატრანსპორტი სისტემის გაუმჯობესებას ემსახურება ისიც, რომ ქალაქში შემოდის 100-მდე ახალი ავტობუსი და სამომავლოდ, ეტაპობრივად მოხდება ავტოპარკის ჩანაცვლება. „პოლიტიკური დემაგოგია“ უწოდა განცხადებას, რომ თბილისში არ შეიძლება ზონალური პარკინგის გაკეთება, მაგალითისთვის ისაუბრა ევროპის რამდენიმე ქალაქში, ამ მიმართულებით, არსებულ მდგომარეობაზე და განაცხადა, რომ პარკირებისთვის დაწესებული გადასახადი სრულად მოხმარდება სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარებას. რაც შეეხება პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორაზე 1 ლარად გადაცემულ მიწის ნაკვეთს,

აღნიშნა, რომ ქონება გადაცემულია საინვესტიციო პირობით და ამ ტერიტორიაზე აუცილებლად მოეწყობა საინვესტიციო პირობით განსაზღვრული სივრცეები.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ოპოზიცია ყოველთვის ცდილობს გადაფაროს ქალაქში მიმდინარე პოზიტიური პროცესები. ამ ეტაპზე კი, საუბარია ქალაქისთვის ისეთი სასიკეთო საქმის გადაფარვაზე, როგორიცაა გენერალური გეგმა, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება და უზრუნველყოფს ქალაქის მდგრად და სწორ განვითარებას, გვექნება მწვანე და მედეგი ქალაქი. როდესაც ოპოზიციის წარმომადგენელი საუბრობს იმაზე, თითქოს „ct-park"-თან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ქალაქში პარკირების მიმართულებით არაფერი შეცვლილა, არასწორია, რადგან გარდა იმისა, რომ კომპანია არ ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ინფრასტრუქტურულ ვალდებულებებს, მოქალაქეების მიერ გასაჩივრებული ჯარიმების 70% გაბათილებული იქნა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქმედებდა მხოლოდ კორპორატიული ინტერესებიდან გამომდინარე. ხოლო დღეს, ადამიანებს აჯარიმებენ მხოლოდ კანონის შესაბამისად, რასაც მოწმობს სტატისტიკური მონაცემები.

რევაზ სოხაძე გამოეხმაურა ლევან ხაბეიშვილის კითხვას, თუ რატომ უნდა დაუჭიროს მხარი ბიუჯეტის პროექტს და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები მხარდასაჭერია თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქში მოეწყობა არაერთი სკვერი, რომ არაფერი ითქვას ქალაქისთვის და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი სხვა მრავალი პროექტის განხორციელებაზე. მისი თქმით, წარმოდგენილი ბიუჯეტის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება უსამართლოა, ყველას უნდა, გაკეთდეს რაც შეიძლება ბევრი კარგი საქმე და იმედი გამოთქვა, რომ ეს ასეც იქნება.

მარინა დათუკიშვილი გამოეხმაურა გიორგი ჩაკვეტაძის განცხადებას ზონალურ პარკირებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ პარკირების საფასურთან პარალელის გავლებასთან ერთად, განვიხილოთ ისიც, თუ რა მდგომარეობაა ევროპულ ქალაქებში სოციალური დაცვის მიმართულებით, როგორია შრომითი ანაზღაურება და რა დონეზეა განვითარებული მუნიციპალური ტრანსპორტი. დღეს, როდესაც თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი და მეტროს შემადგენლობის რაოდენობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ადამიანებს ჰქონდეთ კომფორტული მგზავრობის შესაძლებლობა, მიუღებელია პარკირების საფასურზე საუბარი ევროპის წამყვანი ქალაქების მაგალითზე. მარინა დათუკიშვილი ასევე, დაინტერესდა, როდის წარმოადგენს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოში გენ.გეგმას.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია იმაზე საუბარი, თითქოს ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში დადებითი არაფერია, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის კეთდება ის, რომ მეტროს შემადგენლობას დაემატა და უახლოეს მომავალში კიდევ დაემატება ვაგონები, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მოცდის დროს და დაგეგმილია ავტობუსების პარკის სრული განახლება და უახლოეს მომავალში დედაქალაქს ეყოლება 90 ერთეული ახალი ავტობუსი; თბილისის განვითარების ფონდისთვის გამოყოფილი ათეულობით მილიონი ლარი უკავშირდება ავარიული შენობების გამაგრებას; საგზაო ინრსასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, უკვე განხორციელდა და დაგეგმილია კიდევ არაერთი მასშტაბური პროექტი; რაც შეეხება ზონალური პარკინგის შემოღებას, ესეც მიმართულია სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებისკენ. გარდა ამისა, ოპოზიციის წარმომადგენლები არაფერს ამბობენ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილ არაერთ პოზიტიურ საკითხზე, რომელიც ორიენტირებულია ადამიანების კეთილდღეობაზე, მათ შორის, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირებისთვის საცხოვრებელი ფართების გადაცემა. გიორგი ტყემალაძის თქმით, ეს არის ოპოზიციის „პოლიტიკური დღის წესრიგი", თუმცა, ყველა პოზიტიური ნაბიჯი და მიღებული გადაწყვეტილება აღსანიშნავი და მისასალმებელია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე
თანამომხსენებელი: ლევან მიქავა

2. „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

3. „ქ.თბილისში ნუცუბიძის მე-3 მ/რ, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12223 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.14.02.013.183) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

4. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება - 3, I მიკრორაიონის კორპუსი N4ᵃ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.028.009.01.001ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.098.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4ბ მიკრორაიონის კორპუსი N25ᵃ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.001.01.04.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზოგიერთი უძრავი ქონების შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ.: 205130464) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ.: 101.11.12.002.061) მდებარე 168.54 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იასთვის“ (ს/კ.: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

12. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N61 (ნაკვ 5/34) საკადასტრო კოდი: N01.18.06.005.034 არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

13. „ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

14. „ქ.თბილისში, გულუას ქ.N22/გორგასლის ქ.N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 101.18.05.001.033) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე, კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

15. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, გ.ტერევერკოს II ჩიხი 12-ში, 14-ში, 16-ში, 19-ში; გიორგი ტერევერკოს ქუჩა 115-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.13.01.017.065; 01.13.01.017.080; 01.13.01.017.078; 01.13.01.017.079; 01.13.01.017.082; 01.13.01.017.076) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან 62820000 საკრედიტო ხაზის გახსნაზე თანხმობის მიღების შემდეგ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნული ხაზები გახსნა ლიბერთი ბანკსა და თიბისი ბანკში. ამ ეტაპზე წარმოდგენილია თბილისის 2019 წლის ბიუჯეტში ამ საკრედიტო ხაზების ასახვა, რომელიც, ასიგნებების მიხედვით გადანაწილდება სატრასპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების და კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებზე; თანხა ემატება რამდენიმე პროგრამას და ქვეპროგრამას: თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა, დაავადებათა სკრინინგი, ემატება პროგრამა, 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები; დაფინანსება იზრდება რამდენიმე მიმართულებით: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, გამწვანების ღონისძიებები, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები, რაიონული გამგეობების ინფრასტრუქტური პროექტები. 2019 წლის ბიუჯეტში ასევე, აისახება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების ქვეპროგრამა.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ საკრედიტო ხაზის გახსნასთან დაკავშირებით შეირჩა ორი ბანკი, რომლებსაც ჰქონდათ ყველაზე ოპტიმალური პირობები. მისი თქმით, ამ ეტაპზე წარმოდგენილი თანხის გადანაწილება მოხდა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი საჭიროებების მიხედვით, რაც მისასალმებელი და მხარდასაჭერია.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ზოგადად, ბიუჯეტის ზრდა კარგია, თუმცა უკეთესია, როდესაც ეს ხდება ეკონომიკის, მოსახლეობის და ქალაქის შემოსავლების ზრდის და არა სესხის აღების ხარჯზე. გაიხსენა, რომ საკრედიტო ხაზის გახსნის მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერის განხორციელებამდე, არ შეჩერებულიყო მასშტაბური პროექტები. თუმცა, ვხედათ, რომ თანხა მიემართება თბილისის რაიონებში შიდაკვარტალური გზების შეკეთებისთვის და დაინტერესდა შიდაკვარტალური გზების დაგების მასშტაბური პროექტისთვის რამდენად სწორია სესხის აღება. მისი თქმით, დაფინანსების გაზრდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიმართულებით ნიშნავს სარეკლამო და პიარ ხარჯების ზრდას და დაინტერესდა, რამდენად სწორია ამ მიმართულებით თანხის დამატება, ქალაქში არსებული ამდენი პრობლების ფონზე. ისაუბრა გუდიაშვილის და ორბელიანის მოედნების რეაბილიტაციაზე და აღნიშნა, ამ პროექტებში მთავარი, რაც არ მოსწონს ოპოზიციას, არის ის, რომ დაახლოებით 60000000 ლარი გამოყოფილია ტენდერის გარეშე, ერთ პირთან მოლაპარაკებით და დაინტერესდა, ისევ ტენდერის გარეშე მოხდება თუ არა, მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გამოყოფილი 27000000 ლარის განკარგვა. უმრავლესობის წევრების განცხადებაზე, რომ ავარიული კორპუსების დაფინანსება კი არ მცირდება, არამედ ხდება სატენდერო ეკონომიების გადანაწილება სხვადასხვა მიმართულებით, აღნიშნა, რომ ქალაქში ამ მიმართულებით არსებული პრობლემების ფონზე, ეს ეკონომიები უნდა დარჩეს იმავე მუხლში, რაც შესაძლებელს გახდის დამატებით კიდევ რამდენიმე ავარიული კორპუსის გამაგრებას.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ სესხის აღების მიზანია არა მთლიანი თანხის სრულად ათვისება, არამედ ის, რომ მუნიციპალიტეტმა მოასწროს შესაბამისი სამუშაოების განხორციელება. რაც შეეხება შიდა კვარტალურ გზებს, რაიონული გამგეობები თავისი რესურსის ფარგლებში ახერხებენ გარკვეული სამუშაოების ჩატარებას, ხოლო ეს თანხა არის

დამატებითი რესურსი, რაც გამგეობებს მისცემს შესაძლებლობას განახორციელონ დაგეგმილზე გაცილებით მეტი სამუშაოები.

ირაკლი ზარქუამ ავარიული კორპუსების დაფინანსებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ მიმართულებით ინფრასტრუქტურულ ნაწილში არის ზრდა, ხოლო რაც შეეხება ეკონომიებს, მათი არსებობის შემთხვევაში, მომავალშიც, საჭიროების მიხედვით, გადანაწილდება სხვადასხვა პროგრამებზე და ქვეპროგრამებზე.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ეს არ არის სესხი, ეს არის საკრედიტო ხაზი, რომლის გამოყენება შესაძლებელია საერთოდ არ გახდეს საჭირო. რაც შეეხება პიარის კუთხით ხსენებულ თანხებს, ამ მიმართულებით დაფინანსება არ იზრდება, თანხის ნაწილი არის შიდა გადანაწილება, ხოლო ნაწილი მოხმარდება კამპანიას „გაუფრთხილდი ქალაქს".

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების სამსახურის ხარჯები იზრდება ოთხი მილიონი ლარით და დაინტერესდა, თუ რა ღონისძიებები გატარდება ამ თანხით.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ეს თანხა მიმართული იქნება ავტობუსებისთვის სავალი ხაზების მოწყობისა და ამ ხაზებზე უსაფრთხოების კამერების დამონტაჟებისთვის, რაც ხელს შეუწყობს დედაქალაქში ავტოტრანსპორტის მოძრაობის დარეგულირებას და საზოგადოებრივი ტრანსპორტით შეუფერხებელ მგზავრობას.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტში დეტალურად არის გაწერილი თუ რა მიმართულებით რა თანხა უნდა დაიხარჯოს და როდესაც ეს თანხა ხმარდება ისეთ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორებიცაა: მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რემონტი და რეაბილიტაცია, ხიდების აღდგენა-რეაბილიტაცია, ორბელიანის მოედანზე ავარიული სახლების გამაგრებითი სამუშაოები, ბიუჯეტზე ნეგატიურად მსჯელობა არასწორია.

ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ჰქონდა დაახლოებით 891000 ლარის დამატების მოთხოვნა, რათა ამ თანხის დიდი ნაწილი მიმართულიყო სხვადასხვა სახის ვეტერინარულ პრეპარატებზე, სადეზინფექციო მასალებზე და ცხოველებისთვის საჭირო სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე და დაინტერესდა, რადგან მოსალოდნელია ბიუჯეტის დიდი მოცულობით ზრდა, სასურველი და აუცილებელიც კი არის ამ მიმართულებით დაფინანსების მატება.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს, ამ ეტაპზე, როგორც მედიკამენტების, ასევე სხვადასხვა საჭიროებების მარაგი აქვს, თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მოხდება დაფინანსების გაზრდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ამ ეტაპზე ელექტროდამტენების განთავსებისთვის 30 ლოკაცია წინასწარ არის განსაზღვრული, ხოლო 30 განისაზღვრება ელექტრომობილების

მფლობელების მოთხოვნის მიხედვით. მიწის ნაკვეთების ფართობი შეადგენს 1 კვ.მ.-ს და საწყისი ფასი - 1 ლარს, რომელიც აუქციონის წესით გაიზრდება. აღსანიშნავია ისიც, რომ აუქციონში გამარჯვებულ კომპანიას მიწის ნაკვეთები გადაეცემა ვალდებულებით, რომ აპარატურის მონტაჟიდან ერთი წლის განმავლობაში სერვისი იქნება უფასო.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ ელექტრომობილების წახალისების მიზნით, წარმოდგენილი ინიციატივა მნიშვნელოვანია ისევე, როგორც პარკირებაზე და განბაჟებაზე შეღავათის დაწესება, რაც ხელს შეუწყობს ელექტრომობილების შემოყვანას. ეს ყველაფერი კი დადებითად იმოქმედებს თბილისში ჰაერის დაბინძურების შემცირებაზე და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებახზე.

ვახტანგ შაქარიშვილი დაინტერესდა, თუ რამდენ ლოკაციაზეა საუბარი და რა ინტერესი ექნება ბიზნესს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს სერვისს მიაწვდის უფასოდ, ერთი წლის განმავლობაში.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე სულ არის 60 ლოკაცია. რაც შეეხება ბიზნესის ინტერესს, ერთის მხრივ, არის ის, რომ აუქციონი იწყება სიმბოლურ ფასად, 1 ლარად და მეორეს მხრივ, ის, რომ საიჯარო პერიოდი არის ათწლიანი, ხოლო სერვისის უფასოდ მიწოდების ვალდებულება ვრცელდება ერთ წელიწადზე.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, საქართველოში, ძირითადად, შემოდის მეორადი ელექტრო ავტომობილები, რაც გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით, უფრო საზიანოა, ვიდრე ბენზინზე და დიზელზე მომუშავე ავტომობილები და აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება ამ მიმართულებით შემუშავდეს გარკვეული შესაბამისი სტანდარტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქ.თბილისში ნუცუბიძის მე-3 მ/რ, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12223 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.14.02.013.183) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 12223 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 93 პირისთვის, რომლებიც, ინვესტორთან ერთად შეძლებენ პროექტის განხორციელებას, რის შემდეგაც დაკმაყოფილდებიან საცხოვრებელი ფართებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება - 3, I მიკრორაიონის კორპუსი N4ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.028.009.01.001ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი

განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 85 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.098.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 54 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2001 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4ბ მიკრორაიონის კორპუსი N25ᲐᲑ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.001.01.04.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 60 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 18 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 40 ოჯახისთვის, 40 ერთეული „თეთრი კარკასის“ მდგომარეობაში დასრულებელი ბინის გადაცემა ე.წ. „დირსის პროექტში“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 17 ოჯახისთვის, 17 ერთეული „თეთრი კარკასის“ მდგომარეობაში დასრულებელი ბინის გადაცემა ე.წ. „დირსის პროექტში“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზოგიერთი უძრავი ქონების შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ.: 205130464) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ საქართველოს ბანკს და სატრანსპორტო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს ბანკმა იკისრა ვალდებულება, რომ მუნიციპალურ ტრანსპორტში გამართავდა გადახდის სისტემას. აუქციონის ერთ-ერთ პირობად განისაზღვრა 450 ერთეულზე გადახდის აპარატების განთავსება, რომლითაც მოქალაქეები შეძლებენ ბარათზე თანხის შეტანას. აღნიშნული ვალდებულებით ამ ეტაპზე შერჩეულია 377 ერთეული, 1 კვ.მ.-ს მოცულობის ფართი და წარმოდგენილია ამ ქონების სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაცემა.

რევაზ სოხაძე დაინტერესდა, ცნობილია თუ არა გადახდის აპარატების დიზაინი და თუ ეს აპარატები განთავსდება ისტორიულ უბნებშიც, უმჯობესია მისი დიზაინი შესაბამისობაში იყოს საერთო იერსახესთან.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ აუქციონის გამოცხადებისას, განსაზღვრული იყო სტანდარტული გადახდის აპარატის ერთი დიზანი, თუმცა, ვიზუალის ცვლილებაზე შესაძლებელია კომპანიასთან გაიმართოს მოლაპარაკება.

ვახტანგ შაქარიშვილი დაინტერესდა, ლოკაციების უსასყოდლოდ გადაცემა იყო თუ არა აუქციონის პირობა და რა ვადით აქვს კომპანიას ნაყიდი აღნიშნული ექსკლუზივი.

ბექა დავითულიანი დაინტერესდა, თუ სად დაიდგმება გადახდის აპარატები - მხოლოდ მეტროში თუ მის მიმდებარე ტერიტორიაზეც.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ლოკაციების უსასყიდლოდ გადაცემის ვალდებულება განსაზღვრული იყო აუქციონით, ხოლო ვადა არის 2028 წლამდე. რაც შეეხება ადგილმდებარეობას, აპარატები დაიდგმება როგორც მეტროში, ასევე ავტობუსის გაჩერებებზე და საბაგიროებთან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ.: 101.11.12.002.061) მდებარე 168.54 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იასთვის“ (ს/კ.: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ქონების გადაცემა ხდება უსასყიდლოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის განთავსების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 8 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-0319052169-03 (7 პოზიცია) და N12-031834876-03 (სულ 4 პოზიცია, განსახილველად წარმოდგენილია მხოლოდ პირველი პოზიცია), რომელთაგან საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით:

1. ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-0319052169-03 წერილით წარმოდგენილ პირველ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პოზიციებზე;
2. დამატებით შესწავლას მოითხოვს და განსახილველად უნდა გაიდადოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-0319052169-03 წერილით წარმოდგენილი მე-6 და მე-7 პოზიციები;

3. ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებას, ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით, უარი უნდა ეთქვას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-031834876-03 წერილით წარმოდგენილ პირველ პოზიციაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N61 (ნაკვ 5/34) საკადასტრო კოდი: N01.18.06.005.034 არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთების კორექტირება, რომელზეც უნდა განთავსდეს ერთი შენობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქ.თბილისში, გულუას ქ.N22/გორგასლის ქ.N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 101.18.05.001.033) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე, კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის, კერძოდ: საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე და კომერციული ნაგებობების განაშენიანება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, გ.ტერევერკოს II ჩიხი 12-ში, 14-ში, 16-ში, 19-ში; გიორგი ტერევერკოს ქუჩა 115-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.13.01.017.065; 01.13.01.017.080; 01.13.01.017.078; 01.13.01.017.079; 01.13.01.017.082; 01.13.01.017.076) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 2 დადგენილება და 13 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი